ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N2

ქ.თბილისი

31 ოქტომბერი, 2025 წელი
14[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბექა დავითულიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე თინათინ ნიბლოშვილი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან ჯაფარაძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
ალექსანდრე ასათიანი
ირაკლი ბენდელიანი
კახა ბერაძე
ნოდარ ბოკერია
ბექა გელენავა
გიორგი გვენეტაძე
მარიამ გრიგოლიშვილი
გიორგი დოხტურიშვილი
ნინო ვარდოსანიძე
კონსტანტინე ზარნაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ვაჟა კოკაია
ლალი კოლომიკოვი
ჯაბა კოღუა
კახაბერ ლაბუჩიძე
შალვა მაისურაძე
ბექა მენთეშაშვილი
ბექა მიქაუტაძე
ალექსანდრე მუკათარიძე
გურამ ნიკოლაშვილი
არჩილ ნიჟარაძე
ბექა ოდიშარია
შალვა ოგბაიძე
ვალერიან პაპუაშვილი
შალვა პერანიძე
მიხეილ რეხვიაშვილი
შალვა სუთიაშვილი
ვახტანგ სურგულაძე
დავით ფანჯაკიძე
გიორგი ქარდავა
შოთა ქევხიშვილი
ნიკოლოზ ჩერქეზიშვილი
ზურაბ ჩიკვილაძე
ცოტნე ჩიქვინიძე
ოთარ ჩრდილელი
გივი ჩხარტიშვილი
ავთანდილ ცინცაძე
ლუკა ძაძამია
ზაქარია წიკლაური
ქეთევან ჭავჭანიძე
დავით ჭელიძე
მამუკა ხაბარელი
დავით ხაბეიშვილი
გიორგი ხუროძე

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი კახა კალაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) და მოადგილეების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საქალაქო სამსახურების უფროსების და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონების გამგებლების თანამდებობებზე წარდგენილი კანდიდატები.

სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ, მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე დავით მალანიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გოგი ჩიქოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ყიფიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლაშა ცაგურიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე აკაკი ხლაბუსტოვის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით მაქაცარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით გელოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ირაკლი ანდღულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხესენებელი : კახა კალაძე

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხესენებელი : კახა კალაძე

მომხრე - 46

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

ზურაბ აბაშიძებ სიტყვა გადასცა ქალაქ თბილისის მერს კახა კალაძეს.

კახა კალაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა: „უკვე მესამედ მაქვს პატივი, ვატარებდე თბილისელების მიერ არჩეული მერის სტატუსს, რაც ნიშნავს იმას, რომ დედაქალაქის განვითარების ის პოლიტიკა, რომელსაც წლებია ვახორციელებთ, არის სწორი, მნიშვნელოვანი და უალტერნატივო". აქვე განაცხადა, რომ გამარჯვება, რომელიც „ქართულმა ოცნებამ" ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მოიპოვა, არ არის მხოლოდ მათი გუნდის გამარჯვება, ეს არის, პირველ რიგში, თბილისელების გამარჯვება, ადამიანების რომლებსაც სჯერათ თბილისის შესაძლებლობების და მისი მომავლის და მიმართა დედაქალაქის მოსახლეობას: „არ დავიღლები მადლიერების გამოხატვით გამოცხადებული ნდობისთვის, არ დაგზარდებით ვიყო თქვენს სამსახურში, რათა ყველა დაპირება, რაც საარჩევნო პროგრამის სახით გაგაცანით, ვაქციოთ რეალობად და წინგადადგმულ ნაბიჯად ჩვენი დედაქალაქისთვის. შესაბამისად, დღეს, თქვენს წინაშე მხოლოდ ერთი, მთავარი დაპირებით წარვსდგები - გპირდებით, თვალის ჩინივით გავუფრთხილდეთ თქვენს მიერ მოცემულ თითოეულ ხმას და მას კონკრეტულ საქმეებად ვაქცევთ - განვახორციელებთ ქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვან პროექტებს". კახა კალაძემ ისაუბრა თბილისის მერიის საქმიანობაზე და აღნიშნა, რომ არჩევნებიდან მეორე დღესვე დაიწყო მუშაობა ყველა მიმართულებით და უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯები: გამოცხადებულია ტენდერი დიდი დიღმისა და დიდუბის დამაკავშირებელი ტრამვაის ხაზის მშენებლობისთვის აუცილებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე; მთის კურორტების განვითარების სააგენტოსთან ერთად, დაწყებულია მუშაობა ბეთანიის სათხილამურო კურორტის კონცეფციაზე, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან თბილისთან ახლოს მსგავსი მასშტაბის დასასვენებელი ინფრასტრუქტურის შექმნა უმნიშვნელოვანესია ჩვენი დედაქალაქისთვის; მომდევნო 5 წლის განმავლობაში, თბილისის მეტროს დაემატება 111 ახალი, თანამედროვე სტანდარტის ვაგონი, რაც გულისხმობს 25 მატარებელს, მათ შორის, 14 ერთეული იქნება ოთხვაგონიანი და 11 ერთეული - ხუთვაგონიანი. ამ მიმართულებით, თბილისის მერიის, ცენტრალური ხელისუფლებისა და აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის მჭიდრო თანამშრომლობით, უკვე დასრულებულია ტენდერი ახალი, თანამედროვე, ვაგონების შესყიდვაზე, გამოვლენილია გამარჯვებული კომპანია და მომავალი წლიდან დაიწყება მათი ეტაპობრივი მოწოდება, რისთვისაც მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრს, ირაკლი კობახიძეს, რადგან მხოლოდ მუნიციპალიტეტი ვერ შეძლებდა ამ მასშტაბის პროექტის განხორციელებას; დაწყებულია მარჯანიშვილის და ახმეტელის მეტროსადგურების მეორე ამოსასვლელების პროექტირება; სასიამოვნო სიახლეა საბაგირო გზების განვითარების პროექტი, კერძოდ, მოეწყობა მეტროსადგურ სარაჯიშვილისა და ზღვისუბნის, ასევე, მეტროსადგურ ისნისა და ვაზისუბნის დამაკავშირებელი საბაგირო გზები; საინტერესო სიახლეები გველოდება ასევე, სატრანსპორტო პოლიტიკის მიმართულებით, მათ შორის, დედაქალაქის ავტოპარკს დაემატება 200 ერთეული ავტობუსი და თბილისს ჯამში მოემსახურება 1250 კომფორტული ავტობუსი; დაგეგმილია ნაძალადევისა და ჩუღურეთის რაიონების დამაკავშირებელი ახალი ხიდის მშენებლობა, რომელიც იქნება მხოლოდ საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის. ისაუბრა ურბანული პოლიტიკის მიმართულებით დაგეგმილ პროექტებზე და აღნიშნა: გაგრძელდება ავარიული მრავალბინიანი სახლების ჩანაცვლების პროგრამა; ამასთანავე, იწყება ავარიული სახლების ჩანაცვლების ახალი პროგრამა ისტორიულ არეალებში, რომელიც განხორციელდება მოსახლეობის 100%-იანი თანხმობით და რომლის ფარგლებშიც მუნიციპალიტეტი გამოხატავს მზადყოფნას, რომ ისტორიულ უბნებში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე საცხოვრებელ სახლებში მცხოვრები ადამიანების საკუთრებაში არსებული ფართების გამოსყიდვა მოახდინოს საბაზრო ღირებულებით; აქტიურად გრძელდება მუშაობა უძრავი ქონების გამოსყიდვაზე, რეკრეაციული სივრცეების შენარჩუნების მიზნით, რისი არაერთი მაგალითიც გვაქვს, მათ შორის, მუნიციპალიტეტმა დაიბრუნა: „მზიურის" პარკში არსებული გარკვეული ტერიტორიები, რომლებიც შეუერთდა პარკს, კუს ტბის ასახვევთან არსებული ტერიტორია,

ვაკის პარკში არსებული სივრცე, „ავაზას“ სტადიონი, დიღმის ტყე-პარკში არსებული ტერიტორიები და სხვა მრავალი; ინტენსიური მუშაობა გაგრძელდება ლიფტების ჩანაცვლების პროექტზე, რომლის ფარგლებშიც, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში, მთლიანად შეიცვლება ქალაქში არსებული ავარიული ლიფტები და არ დარჩება არცერთი კორპუსი, სადაც იქნება გაუმართავი ლიფტი. კახა კალაძემ, ასევე, ისაუბრა ინფრასტრუქტურის მიმართულებაზე და ჩამოთვალა ის პროექტები, რომლების განხორციელებაც დაგეგმილია მომდევნო წლების განმავლობაში: რუსთაველის, ვაჟა-ფშაველას და გურამიშვილის გამზირების რეაბილიტაცია; თამარაშვილის, გორგასლის, გოძიაშვილისა და აკაკი ბელიაშვილის ქუჩების ფუნდამენტური განახლება, რომლის ფარგლებშიც მივიღებთ ქუჩების ახალ დიზაინს; თბილისის განვითარების ფონდი დაიწყებს რეაბილიტაციის მეორე ეტაპს ნარიყალას ციხეზე; ფონდის მიერ რეაბილიტირდება ასევე, ბარათაშვილის ქუჩაზე არსებული გალავანი და შენობა ნაგებობები, ქორწინების სასახლე, ჭადრაკის სასახლე და ალპური კლუბი; დაგეგმილია ინგოროყვას ქუჩის და იქ არსებული შენობა-ნაგებობების სრული რეაბილიტაცია-განახლება; ყავლაშვილის ქუჩისა და მასზე არსებული შენობების, ასევე, მიმდებარე ქუჩების სრული რეაბილიტაცია-განახლება, კოტე აფხაზის ქუჩისა და მასზე არსებული შენობების სრული რეაბილიტაცია, აბესაძის ქუჩისა და მასზე არსებული შენობების სრული რეაბილიტაცია-განახლება, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩისა და მასზე არსებული შენობების სრული რეაბილიტაცია; მომდევნო წლებში დაგეგმილია 3000-მდე აღსაზრდელზე გათვლილი საბავშვო ბაღის 10 ავარიული შენობის დემონტაჟი და ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, ხოლო 10 საბავშვო ბაღს ჩაუტარდება სრული რეაბილიტაცია-რეკონსტრუქცია. კახა კალაძემ ყურადღება გაამახვილა გარემოს დაცვის პოლიტიკაზე და მომავალი ოთხი წლის განმავლობაში ამ მიმართულებით განსახორციელებელ მნიშვნელოვან პროექტებზე: რეაბილიტირდება და მოეწყობა 200 ჰექტრამდე რეკრეაციული სივრცე; დაირგვება ახალი ხე-მცენარეები; 100 ჰექტარ ფართობზე გახორციელდება ტყის აღდგენა-განახლების ღონისძიებები; დაგეგმილია პირველი რესპუბლიკისა და მუშთაიდის ბაღების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებშიც, პირველ რიგში, მუნიციპალიტეტი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მუშთაიდის ბაღი, რომელიც 50 წლიანი იჯარით გადაცემულია კერძო საკუთრებაში, იყოს თბილისელების და მუნიციპალიტეტის საკუთრება; დიღმისა და ხუდადოვის ტყე-პარკებში მოეწყობა რეკრეაციული სივრცეები; ავჭალისა და რიყის პარკებს, ასევე, „არტოს“ ბაღსა და კახიძის სკვერს ჩაუტარდებათ სრული რეაბილიტაცია-განახლება; გაგრძელდება ახალი ზოოპარკის მოწყობა თბილისის ზღვის მიმდებარედ, რა მიმართულებითაც დაწყებულია პროექტი, რომლის ფარგლებშიც უკვე მოწყობილია შესაბამისი ინფრასტრუქტურა და გადაყვანილია ცხოველების ნაწილი. აღნიშნული პროექტი გაგრძელდება და მუნიციპალიტეტი ეცდება, რომ მომდევნო ორი წლის განმავლობაში, ქალაქში არსებული ზოოპარკი მთლიანად გადავიდეს თბილისის ზღვის მიმდებარე ტერიტორიაზე და ძველი ზოოპარკის სივრცე გამოყენებული იქნას რეკრეაციული არეალისთვის, რომელიც შეუერთდება „მზიურის“ პარკს. აქვე, განაცხადა, რომ ამ მიმართულებით, ცალკე აღნიშვნის ღირსია თბილისის ზღვაზე, ახალი ზოოპარკის მიმდებარედ არსებული დენდროლოგიური პარკის ტერიტორიაზე გრანდიოზული გასართობი პარკის მშენებლობა, რაშიც განსაკუთრებულ წვლილს შეიტანს ბიძინა ივანიშვილის ოჯახი და საქველმოქმედო ფონდი „ქართუ“. აქვე განაცხადა, რომ დედაქალაქისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ მასშტაბის პროექტის განხორციელება, მადლობა გადაუხადა ბიძინა ივანიშვილს მხარდაჭერისთვის და აღნიშნა, რომ „დისნეილენდის“ ტიპის პროექტი რეგიონში პირველი იქნება და, რასაკვირველია, სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ის სწორედ თბილისს დაამშვენებს. ამ პროექტთან დაკავშირებით, წლის ბოლომდე, მუნიციპალიტეტს ექნება კონკრეტული ხედვა, ეყოლება კონკრეტული კომპანია, რომელიც გააკეთებს განაშენიანების გეგმას, თუ როგორ უნდა მოხდეს აღნიშნული პროექტის განხორციელება - სად უნდა იყოს განთავსებული ატრაქციონები, როგორ უნდა იყოს კეთილმოწყობილი დასასვენებელი სივრცეები და სხვა დეტალები. ისაუბრა კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის პოლიტიკაზე და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით დაგეგმილია წამახალისებელი თუ სხვადასხვა ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელება და შესაბამისად, მომდევნო წლებში, კვლავ გაგრძელდება საგანმანათლებლო და ახალგაზრდული მიმართულებების მხარდაჭერა; პროგრამის „ისწავლე

და დასაქმდი“ ფარგლებში, რომელიც სარგებლობს ძალიან დიდი პოპულარობით და დასაქმების 75%-იანი მაჩვენებელი აქვს, გადამზადდება 20000-მდე მოქალაქე; დაიწყება კოჯრის ახალგაზრდული სოფლის მშენებლობა; აშენდება ორი ახალგაზრდული მრავალფუნქციური ცენტრი, ჩუღურეთსა და დიღმის მასივში; ბაგებში აშენდება მრავალფუნქციური საზოგადოებრივი ცენტრი, ღია საცურაო აუზით და ყველა საჭირო სივრცით; რეაბილიტაცია ჩატარდება თბილისის სხვადასხვა უბანში მდებარე ხუთ ახალგაზრდულ ცენტრში; დაფინანსდება 1000-ზე მეტი სპორტული პროექტი და ინიციატივა; მოეწყობა 300-მდე ღია სპორტული მოედანი; მუნიციპალიტეტმა დაიბრუნა გლდანში მდებარე, წლების განმავლობაში იჯარით გაცემული, „ამერის“ სტადიონი, სადაც იქნება ერთ-ერთი საუკეთესო, ყველანაირად მოწესრიგებული და გამართული სპორტული სკოლა; კულტურის სფეროს განვითარების მიმართულებით, დაფინანსდება 1200 პროექტი; რეაბილიტირდება ილია ჭავჭავაძის, ზაქარია ფალიაშვილის, თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმები და თერთმეტი ბიბლიოთეკა; სანდრო ახმეტელის თეატრის ბაზაზე მოეწყობა ინკლუზიური თეატრი და საგანმანათლებლო ცენტრი; იგეგმება მუნიციპალური თეატრების რეაბილიტაცია და პროექტირება. კახა კალაძემ ისაუბრა ჯანდაცვისა და სოციალურ პოლიტიკაზე და აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტმა, გასული რვა წლის განმავლობაში, ყველაზე დიდი ყურადღება დაუთმო და ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი მიმართა სწორედ ამ მიმართულებით, რადგან ყველაფერს, რასაც მუნიციპალიტეტი აკეთებს, აკეთებს ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანებისთვის, მათი ჯანმრთელობისა და კეთილდღეობისთვის. მისი თქმით, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ რჩებიან ოჯახები და ადამიანები, რომლებსაც სჭირდებათ მუნიციპალიტეტის თანადგომა და მხარდაჭერა და, რა თქმა უნდა, ამ მიმართულებით გაგრძელდება პროგრამები და პროექტები; 2026-2029 წლებში ამოქმედდება ორი ახალი პროგრამა, კერძოდ: ადრეულ ეტაპზე კიბოს სადიაგნოსტიკო კვლევების დაფინანსების პროგრამა და ფილტვის კიბოს სკრინინგის დაფინანსების პროგრამა, რომელთა ფარგლებშიც, მუნიციპალიტეტის მხრიდან დაფინანსება იქნება 100%-იანი და მოქალაქეებს არაფრის გადახდა არ მოუწევთ; გაფართოვდება ჯანდაცვის მიმართულებით არსებული ექვსი მნიშვნელოვანი პროგრამა; გაგრძელდება რაიონულ გამგეობებში არსებული სოციალური და ჯანდაცვის მიმართულებით არსებული ყველა პროგრამა. აქვე აღნიშნა, რომ ზემოთ ხსენებული, იმ პროგრამების და პროექტების მხოლოდ მცირე ჩამონათვალია, რომელთა განხორციელებაც დაგეგმილია მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში და განაცხადა, რომ თბილისი, ოთხი წლის შემდეგ, იქნება კიდევ უფრო მწვანე, მოწესრიგებული და განვითარებული ქალაქი, რათა ჩვენს შვილებს, მომავალ თაობებს დავუტოვოთ ისეთი საცხოვრებელი გარემო, სადაც თავისუფლად ექნებათ განათლების მიღების, განვითარების, გართობის, მწვანე სივრცეებში დასვენებისა და კომფორტული გადაადგილების შესაძლებლობა, რისი თქმის საშუალებასაც აძლევს უკვე გაკეთებული საქმეები, განხორციელებული პროექტები, მოსახლეობის უდიდესი მხარდაჭერა და პროფესიონალთა გუნდი, რომელსაც წარმოადგენს თბილისის მომავალი მთავრობა. საუბრის ბოლოს, თბილისის ახლადარჩეული საკრებულოს თითოეულ წევრს და საკრებულოს თავმჯდომარეს წარმატებები უსურვა და მიმართა მათ: „თქვენი წარმატებული საქმიანობა პირდაპირკავშირშია თბილისისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამბიციური გეგმების განხორციელებასთან. პროფესიონალიზმით, ქალაქის სიყვარულით და ურთიერთთანამშრომლობით, ჩვენ შევძლებთ თბილისის განვითარების ახალ ეტაპზე გადაყვანას. საკმაოდ მასშტაბური, ამბიციური გეგმები გვაქვს, საკმაოდ საინტერესო იქნება მომდევნო ოთხი წელი ჩვენი დედალაქისთვის და ამ ქალაქში მცხოვრები ადამიანებისთვის“.

ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა კახა კალაძეს შთამბეჭდავი მოხსენებისთვის და აღნიშნა, რომ ის, რაც დღეს, თბილისის მერის მიერ ითქვა სხდომაზე, საარჩევნო კამპანიის პროცესში დეტალურად ისმენდნენ თბილისელები, რომლებმაც სწორედ იმიტომ დაუჭირეს მხარი „ქართული ოცნების“ გუნდს და აირჩიეს კახა კალაძე თბილისის მერად, რომ მისი წინა წლების მოღვაწეობა, პროფესიონალ გუნდთან ერთად, ორიენტირებული იყო მხოლოდ საქმეზე, წარმატებაზე და ხალხს სჯერა, რომ აუცილებლად შესრულდება წინასაარჩევნოდ გაცემული

დაპირებები და განხორციელდება ის პროგრამები და პროექტები, რომლებზეც საუბარი იყო საარჩევნო კამპანიის დროს.

საკრებულოს წევრებმა კითხვებით მიმართეს თბილისის მერს.

ნიკოლოზ კახეთელიძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, განაცხადა, რომ ყოველ წელს, როდესაც ისმენს თბილისის მერის გამოსვლას, გონებაში აანალიზებს, თუ რა და როგორ გაკეთდა და უნდა ითქვას, რომ გარდა იმისა, რაზეც დღეს ისაუბრა კახა კალაძემ, უამრავი სხვა საკითხებია კიდევ, რომლებსაც დედაქალაქის მერია ძალიან მნიშვნელოვან ყურადღებას აქცევს და აკეთებს. მისი თქმით, თბილისს აწვება ძალიან ბევრი სირთულე - ეს არის ათეულობით წლების წინ დაშვებული გარკვეული შეცდომები და თბილისში მომხდარი კატაკლიზმები, რამაც ბევრი რამ არია ქალაქში, ახლა ვართ ამის დალაგების პროცესში და ვცდილობთ, ხელი შევუწყოთ თბილისის მერიას ამ საკითხების მოგვარებაში. ნიკოლოზ კახეთელიძემ განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ქალაქის ცენტრიდან გარკვეული სამსახურების და სერვისების გატანა, რაც უზრუნველყოფს კონკრეტულ ადგილებში ადგილობრივი მოსახლეობის მომსახურებას და ამასთანავე, შედარებით განიტვირთება ტრანსპორტის მოძრაობაც და დაინტერესდა, რა კეთდება ამ მიმართულებით, რათა მოხდეს რეგიონების პოლიცენტრული განვითარება და ქალაქის ცენტრს გარკვეულწილად მოშორდეს დღეს არსებული ტვირთი.

მარიამ გრიგოლიშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და მადლობა გადაუხადა თბილისის მერს მოხსენებისთვის. მან მადლობა გადაუხადა ასევე, „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ხელმძღვანელობას იმისთვის, რომ აქვს შესაძლებლობა, საკრებულოს ისტორიულ დარბაზში იყოს ახალგაზრდების ხმა და, გამოცდილ კოლეგებთან ერთად, გააკეთოს დედაქალაქისთვის სასიკეთო საქმეები. ისაუბრა პროგრამაზე „ისწავლე და დასაქმდი“, რომელიც თბილისში რეგისტრირებულ მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, მნიშვნელოვანი კურსების გავლის შემდეგ დასაქმდნენ კერძო სექტორში, რაშიც თბილისის მერია წარმოადგენს ე.წ. „შუამავალ რგოლს“ და დაინტერესდა, რამდენად აძლევს თბილისის მერია დამსაქმებელს შესაძლებლობას, ჩაერთოს სასწავლო პროცესის შინაარსის ჩამოყალიბებაში, რათა გადამზადების კურსები მაქსიმალურად შეესაბამებოდეს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. აქვე, დაინტერესდა, რამდენად სტაბილურია ეს სამუშაო ადგილები გრძელვადიან პერსპექტივაში.

გიორგი ქარდავა მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა არაბული საინვესტიციო კომპანიის „ემაარ ჯგუფის“ დამფუძნებლის, მოჰამედ ალაბარის მიერ, ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში გაკეთებულ განცხადებაზე, რომ თბილისის შემოგარენში, კერძოდ, კრწანისის ტყე-პარკში, იგეგმება საცხოვრებელი კომპლექსების აშენება, რომელთა დიდი ნაწილი უნდა გაიყიდოს უცხოელებზე, რაც, მისი აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში, ძალიან დიდ საშიშროებას შეუქმნის ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, ტერიტორიულ მთლიანობას და დემოგრაფიულ ბალანსს. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, იცის თუ არა თბილისის მერმა ამ საქმის და ზოგადად, არაბებთან დადებული შეთანხმების დეტალები და თუ იცის, მაშინ, ასევე, საინტერესოა, როდის გასაჯაროვდება ფართო საზოგადოებისთვის ექვსმილიარდიანი პროექტის ყველა პირობა და პუნქტი, რადგან ქართული საზოგადოება, რომელიც წინასწარ არ იყო ინფორმირებული, იმსახურებს ამ საქმის დეტალების ცოდნას.

შალვა პერანიძე მიესალმა კახა კალაძეს, მიულოცა მესამე ვადით თბილისის მერად არჩევა, და, მის გუნდთან ერთად, წარმატებები უსურვა. ისაუბრა შემოერთებული ტერიტორიების სისტემურ რეგისტრაციაზე, აღნიშნა, რომ მიმდინარე რეგისტრაცია შეეხო სოფელი დიღმის ტერიტორიის ნაწილს, ხოლო დიდი ნაწილი დარჩა დაურეგისტრირებელი და დაინტერესდა, გაგრძელდება თუ არა სისტემური რეგისტრაცია სოფელი დიღმის ტერიტორიაზე. შალვა პერანიძემ, კიდევ რამდენიმე კითხვით მიმართა ქალაქის მერს: რამდენად განიხილება დიდგორი-თელოვანის ტერიტორიაზე რეკრეაციის მოხსნის საკითხი; აღნიშნა, რომ ძველ ვეძისში გზის საფარი იმდენად ცუდ მდგომარეობაშია, რომ ოდნავი წვიმის დროსაც კი შეუძლებელი ხდება სოფელთან დაკავშირება და იქიდან გამომდინარე, რომ გამგეობა თავისი

ბიუჯეტით ვერ გასწვდება ამ ხარჯებს, შესაძლებელი იქნება თუ არა გზის მოწყობის სამუშაოების განხორციელება; აღნიშნა, რომ ბევრმა სამშენებლო კომპანიამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა მიზეზით, არ ან ვერ ისარგებლა ჩაუბარებელი კორპუსების მიმართულებით გამოცხადებული ამნისტიით და იქიდან გამომდინარე, რომ მოსახლეობა რჩება დაზარალებული, იგეგმება თუ არა რაიმე ნაბიჯების გადადგმა ამ კუთხით.

ბექა მიქაუტაძე მიესალმა თბილისის მერს და მიულოცა არჩევნებში ღირსეული გამარჯვება. ასევე, მიესალმა მისი მოადგილეების, საქალაქოს სამსახურების უფროსების და გამგებლების თანამდებობებზე წარდგენილ კანდიდატებს, წარმატებები უსურვა მათ და განაცხადა, რომ ეს არის ძალიან მაგარი გუნდი, რომელიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში კარგ პროექტებს შემოგვთავაზებს და განახორციელებს. ისაუბრა წინასაარჩევნო პერიოდში თბილისის მერის მიერ გაჟღერებულ ინფორმაციაზე, რომ გაიზრდებოდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების პროექტების დაფინანსება, კონკრეტულად კი დაიწყება ლიფტების პროგრამა, რაც ძალიან პრობლემური საკითხია და დაინტერესდა, როდის დაიწყება ეს პროექტი, რა თანხაზეა საუბარი და დაახლოებით რამდენი ლიფტის რეაბილიტაციაა დაგეგმილი.

დავით ფანჯაკიძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და ისაუბრა, როგორც ქვეყანაში, ასევე, დედაქალაქში არსებული სამშენებლო რეგულაციების გამკაცრებაზე, რამაც, მისი თქმით, გამოიწვია ის, რომ ბაზარზე მივიღეთ ეკონომ-კლასის ბინების დეფიციტი, რაც ქალაქელებს საკმაოდ უძვირებს საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, იგეგმება თუ არა დიფერენცირება და გარკვეული მიდგომები, რომ ადამიანებს მიეცეთ საშუალება, გაიუმჯობესონ საცხოვრისი და ბაზარზე იყოს განსხვავებული კლასის საცხოვრისის მიწოდება. ასევე, ისაუბრა ტრანსპორტის კუთხით არსებულ პრობლემაზე, რომელიც, მისი თქმით, არ უნდა გადაიჭრას კერძო ავტომობილების მფლობელების ხარჯზე და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა ამ მიმართულებით რაიმე პროექტის განხორციელება, ახალი გზის ან ხიდის მშენებლობა. აქვე აღნიშნა, რომ, მისი აზრით, აუცილებელია მტკვარზე ხიდის მშენებლობა, რაც არ გაკეთებულა 40 წელია, ხოლო ავტომობილების რაოდენობა ამ დროის განმავლობაში, საგრძნობლად გაიზარდა.

კახაბერ ლაბუჩიძემ კახა კალაძეს მიულოცა არჩევნებში ღირსეული გამარჯვება და მადლობა გადაუხადა იმ სურვილებისთვის, რაც საკრებულოს წევრებს უსურვა. ისაუბრა თბილისის მერის მიერ გაჟღერებულ ავარიული სახლების ჩანაცვლების ახალ წესზე, რომელიც მოსახლეობისგან ავარიული სახლების გამოსყიდვას გულისხობს. აღნიშნა, რომ მის სამაჟორიტარო ოლქში 50% გეოგრაფიულად შედის ისტორიულ არეალში და ფიქრობს, რომ მისი პრიორიტეტი, მომდევნო ოთხი წლის მანძილზე, იქნება ავარიული სახლების ჩანაცვლების ახალი პროგრამა. აქვე, ისაუბრა მეტროსადგურ ისნისა და ვაზისუბნის დამაკავშირებელ საბაგირო ხაზზე და დაინტერესდა, როდის იქნება შესაძლებელი პროექტის დაწყება და განხორციელება.

ვახტანგ სურგულაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ დღეს, თბილისის მერისგან მოისმინა იგივე, რაც ოთხი წლის წინ და დაინტერესდა, დასრულდება თუ არა ვარკეთილის მეტროს რეაბილიტაცია მომდევნო ოთხ წელიწადში.

ლევან არველაძემ თბილისის მერს და საკრებულოს წევრებს მიულოცა არჩევნებში გამარჯვება და დაინტერესდა, იგეგმება თუ არა მომდევნო წელს ვაჟა-ფშაველას გამზირის რეაბილიტაცია.

ნიკოლოზ ჩექეზიშვილმა ისაუბრა დანგრეულ და მრავალი წლის განმავლობაში ვერაშენებულ სკოლებზე და აღნიშნა, რომ ნაძალადევის რაიონში, რამდენიმე წელია დანგრეულია მე-10, მე-11, 113-ე და მე-14 საჯარო სკოლები, რის გამოც მოსწავლეებს არ აქვთ შესაძლებლობა მიიღონ ხარისხიანი განათლება. აქვე აღნიშნა, რომ მართალია, ეს საკითხი არ არის თბილისის მერიის კომპეტენცია, მაგრამ, იქიდან გამომდინარე, რომ თბილისის მერი, ამავდროულად, არის მმართველი პარტიის პოლიტიკური ლიდერი - გენერალური მდივანი, საინტერესოა, აქვს თუ

არა პასუხი იმაზე, რა არის ის ძირითადი მიზეზი, რის გამოც, მრავალი წლის განმავლობაში, ვერ მოგვარდა ეს ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემა.

ბექა ოდიშარიამ კახა კალაძეს მიულოცა თბილისის მოსახლეობის მიერ უდიდესი ნდობის გამოცხადება. აღნიშნა, რომ მთის კურორტების განვითარებასთან ერთად, იგეგმება ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი და ამას საზოგადოებამ არ უნდა შეხედოს ისე, თითქოს ეს არის ზამთრის კურორტი, რადგან თანამედროვე ტექნოლოგიები იძლევა იმის საშუალებას, რომ ბეთანიაში საზაფხულოდაც ძალიან აქტიურად იქნას გამოყენებული ახალი მიმართულება. იქიდან გამომდინარე, რომ პროექტი დაკავშირებულია ხელოვნური ტბების მშენებლობასთან, დაინტერესდა, თუ რა ვადაში იქნება შესაძლებელი პროექტის განხორციელება. ასევე, დაინტერესდა, მერიის რომელი საქალაქო სამსახურები არიან პასუხისმგებლები ან გამგეობები არიან თუ არა ვალდებულები, რაც შეიძლება აქტიურად მიიტანონ ახალგაზრდებამდე პროგრამის „ისწავლე და დასაქმდი“ შესახებ ინფორმაცია. აქვე აღნიშნა, რომ მერაბ კოსტავას მუზეუმმა გამოიწვია ძალიან დიდი საზოგადოებრივი ინტერესი და აქედან გამომდინარე, საინტერესოა, კიდევ რომელი მუზეუმების რეაბილიტაციაა დაგეგმილი და რა ვადებში.

თბილისის მერმა უპასუხა საკრებულოს წევრების მიერ დასმულ შეკითხვებს.

კახა კალაძემ, კითხვაზე, თუ როგორი ხედვა აქვს მუნიციპალიტეტს დედაქალაქის ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით განვითარების კუთხით, აღნიშნა, რომ ეს საკითხი ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევაა იმის გათვალისწინებით, რომ თბილისი იზრდება, ემატება ახალი უბნები და პირველი, რაც ყველაზე მთავარია, არის ის, რომ ქალაქის განვითარება უნდა გაგრძელდეს გენერალური გეგმის მიხედვით. შესაბამისად, რაიონების განვითარებას თუ შევხედავთ, შემთხვევითი არ არის ის, რომ გლდანში, გაიხსნა იუსტიციის სახლი, რათა იქ მცხოვრებ ადამიანებს ჰქონდეთ შესაძლებლობა, თავის რაიონში ისარგებლონ ყველა საჭირო სერვისით და მომსახურებით და უნდა აღინიშნოს, რომ იგივე იგეგმება დიდ დიღომში, რომელიც, ბოლო წლების განმავლობაში, ძალიან ვითარდება. რაიონების განვითარების კუთხით, ასევე, მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი მულტიფუნქციური ცენტრების მშენებლობა, რომლის ფარგლებშიც, დიდ რაიონებში, დაგეგმილია მინიმუმ ორი გამაჯანსაღებელი საზოგადოებრივი ცენტრის აშენება, რათა ადამიანებს არ მოუწიოთ ამ ტიპის ინფრასტრუქტურით სარგებლობისთვის ქალაქის ცენტრალურ უბნებში გამოსვლა. შესაბამისად, მომდევნო ოთხი წლის განმავლობაშიც გაგრძელდება და განსაკუთრებული როლი დაეთმობა ქალაქის სწორი განვითარების პოლიტიკას. პროგრამასთან „ისწავლე და დასაქმდი“ დაკავშირებით დასმულ შეკითხვაზე განაცხადა, რომ ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროგრამა და აღნიშნა, რომ ძალიან ბევრი ადამიანი ეძებს სამსახურს, თუმცა, მეორე მხრივ, არის ბიზნესი, რომელსაც უნდა კვალიფიციური, ძლიერი, პროფესიონალი კადრები და შესაბამისად, თბილისის მერია წარმოადგენს „შუამავალ რგოლს“, რომელიც ეხმარება ადამიანებს პროფესიონალიზმის ამაღლებაში - ახორციელებს მათ გადამზადებას სხვადასხვა კონკრეტულ სპეციალობებში, რაზეც აქვს ბიზნეს-სექტორს მოთხოვნა, რის შემდეგაც ეხმარება დასაქმებაში. ხოლო რაც შეეხება სტაბილურობას, ის გარანტირებულია უკვე დასაქმებული ადამიანებისთვის, თუმცა, უნდა ითქვას ისიც, რომ ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. აქვე, უპასუხა პროგრამის შესახებ ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდებაზე დასმულ შეკითხვას და განმარტა, რომ ადამიანებს შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად გააკეთონ პროგრამაში მონაწილეობასთან დაკავშირებით განაცხადი მერიის ვებგვერდზე არსებულ სპეციალურ პლატფორმაზე, ასევე, მივიდნენ მუნიციპალიტეტში ან გამგეობების სხვადასხვა სერვისებში და გააკეთონ განაცხადი პროგრამაში ჩართულობასთან დაკავშირებით. „ემაარ ჯგუფის“ საინვესტიციო პროექტს „უპრეცედენტო“ უწოდა და განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი დეველოპერული კომპანია შემოდის საქართველოში და ახორციელებს ექვსი მილიარდის ინვესტიციას. მისი თქმით, ამ მიმართულებით გაჟღერებული საფრთხეები უსაფუძვლოა, რადგან ქვეყანაში გვაქვს კანონები და კონსტიტუცია, ხოლო რაც შეეხება უსაფრთხოებას, ჩვენი ქვეყნის შესაბამისი

სამსახურები ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე არიან და შესაბამისად, დაცული იქნება თითოეული მოქალაქის უსაფრთხოება. პროექტის დეტალებთან დაკავშირებით განმარტა, რომ თბილისთან ახლოს განხორციელდება დაახლოებით სამი მილიარდი აშშ დოლარის ინვესტიცია, ხოლო რაც შეეხება უშუალოდ პროექტის შინაარსს, ამასთან დაკავშირებით ძალიან მალე იქნება პრეზენტაცია. აქვე განაცხადა, რომ ამ მასშტაბის ინვესტიცია ქვეყანაში არასდროს განხორციელებულა და ის დაეხმარება, როგორც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას, ასევე, ხელს შეუწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ქალაქთან ახლოს გაჩნდება სწორად განხორციელებული პროექტი, რაც ჩვენი ქვეყნისთვის პრინციპულად მნიშვნელოვანია. სისტემურ რეგისტრაციებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით, მუნიციპალიტეტი აქტიურად თანამშრომლობს იუსტიციის სამინისტროსთან, განსაზღვრულია კონკრეტული არეალები, სადაც საჭიროა სამუშაოების წარმოება, რა თქმა უნდა, მუშაობა გაგრძელდება და მუნიციპალიტეტი დაეხმარება ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ პრობლემის წინაშე დგას. ძველ ვეძისში გზის მოწყობასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ პრობლემის მოგვარებისთვის შესაძლებელია საკითხის შესწავლა შესაბამის საქალაქო სამსახურთან ერთად და პროექტის გაკეთება, თუ რა სამუშაოებია ჩასატარებელი და შემდეგ შესაბამისი თანხის მოძიება ბიუჯეტში. სამშენებლო ამნისტიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ამნისტიით, რომელიც დასრულდა გასულ წელს, ისარგებლა უამრავმა ადამიანმა. მართალია, ეს პრობლემა ბოლომდე მიყვანილი არ არის, მაგრამ ამნისტიის თავიდან გამოცხადება, დღეის მდგომარეობით, მიზანშეწონილი არ არის. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების კუთხით დასმულ შეკითხვაზე განმარტა, რომ გადაწყვეტილებას იღებს ადგილობრივი მოსახლეობა და თავად ირჩევს, თუ რა პროექტი უნდა განხორციელდეს თავიანთ საცხოვრებელ კორპუსში - იქნება ეს სახურავის გადახურვა, სადარბაზოს მოწყობა, ლიფტების ჩანაცვლება თუ სხვა. აქვე აღნიშნა, რომ ხსენებული პროგრამა არის საჭირო და სასიკეთო, რომლის დაფინანსება მომავალშიც გაგრძელდება. საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოწესრიგებაზე აღნიშნა, რომ ეს საკითხი მუნიციპალიტეტისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია და შემთხვევითი არ არის ის, რომ პარალელურად, ქალაქში ხდება ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და სადაც შესაძლებელია, ყველა ქუჩასა და გამზირზე, მიმდინარეობს საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ზოლების დახაზვა, რასთან დაკავშირებითაც გადაწყვეტილების მიღება ხდება შესაბამისი კვლევების ჩატარების შემდეგ. ქალაქში არსებული საცობები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გამოწვევაა და ეს კეთდება იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ტრანსპორტი იყოს ყველაზე სწრაფი, კომფორტული და ყველასთვის ხელმისაწვდომი. აქვე აღნიშნა, რომ ბოლო წლებში სატრანსპორტო მიმართულებით განხორციელებული პროექტების შედეგად, 40%-ით გაიზარდა საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობის მაჩვენებელი, რაც ძალიან კარგია და შესაბამისად, ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. სანაპიროების დამაკავშირებელი ახალი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ ამაზე ძალიან ბევრი აქვს ნამუშევარი თბილისის მერიას, მათ შორის, საუბარი იყო და ძალიან ბევრი კვლევა ჩატარდა ვეფხვი და მოყმეს მიმდებარე ტერიტორიის და სამტრედიის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობაზე, თუმცა, პროექტის განხორციელების შემთხვევაში, ვერ მივიღებთ იმ შედეგს, რაც განტვირთავს მოძრაობას და შესაბამისად, მუნიციპალიტეტი თავს იკავებს ხსენებული პროექტის განხორცილებისგან, რათა არ მოხდეს ისე, რომ დაიხარჯოს უამრავი თანხა და პროექტი აღმოჩნდეს გამოუსადეგარი და პრობლემური. ისტორიულ უბნებში არსებული ავარიული სახლების ჩანაცვლების ახალ პროგრამაზე განაცხადა, რომ ეს მიმართულება ძალიან მნიშვნელოვანია კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობებში მცხოვრები ადამიანებისთვის და მუნიციპალიტეტი გამოხატავს მზადყოფნას, რომ მაცხოვრებელთა 100%-იანი თანხმობის შემთხვევაში, გამოისყიდოს მათ საკუთრებაში არსებული ქონება. ამასთანავე, არის მეორე ალტერნატივა - მოსახლეობას შეუძლია ინვესტორთან მოლაპარაკება და ამ შემთხვევაში, მართალია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს ინვესტორი ვერაფერს დაამატებს, მაგრამ, მის მიერ გაღებული ხარჯის დასაბალანსებლად, მუნიციპალიტეტს შეუძლია სხვა, კონკრეტულ რაიონებში მისცეს

პროექტის განხორციელების შესაძლებლობა. ვარკეთილის მეტროს რეაბილიტაციის დასრულებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა ვერ ნახა კომპანია, რომელიც შეასრულებდა საჭირო სამუშაოებს და იქიდან გამომდინარე, რომ არ გვყავს ამ სფეროს ექსპერტები და შესაბამისი გამოცდილების მქონე კომპანიები, რომლებსაც შეუძლიათ ამ ტიპის სამუშაოების წარმოება, მუნიციპალიტეტი დგას უდიდესი პრობლემის წინაშე. დღეის მდგომარეობით, გვაქვს ისეთი მოცემულობა, რომ უცხოელი ექსპერტების დახმარებით, მთლიანად მოხდა პროექტის გადაკეთება და შესწავალა, ჩატარებულია ყველა საჭირო კვლევა და ახალი წლისთვის სამუშაოები მთლიანად დამთავრებული იქნება. ვაჟა-ფშაველას გამზირის რეაბილიტაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა გამზირების და ქუჩების რეაბილიტაცია-განახლება, ხოლო რაც შეეხება სამუშაოების დაწყებას, აღნიშნა, რომ თბილისის მერია გადაწყვეტილებას იღებს იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქში ერთდროულად არ დაიწყოს ბევრი პროექტის განხორციელება, რათა არ შეიქმნას უდიდესი პრობლემა და დისკომფორტი გადაადგილების თვალსაზრისით და აქედან გამომდინარე, შესაბამის საქალაქო სამსახურთან ერთად, მოხდება იმის განსაზღვრა, თუ რომელი პროექტი უნდა განხორციელდეს პრიორიტეტების მიხედვით. ნაძალადევის რაიონში დანგრეულ სკოლებთან დაკავშირებით განაცხადა, რომ უდიდეს პრობლემას წარმოადგენს ის, რომ ამ კონკრეტულ რაიონში უკვე წლებია საჭიროა ახალი სკოლები და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული საკითხი არ არის მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში, არ აქვს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ამის გამომწვევი მიზეზი, თუმცა, აუცილებლად ექნება კომუნიკაცია განათლების სამინისტროსთან იმასთან დაკავშირებით, თუ როდის მოხდება საჭირო პროექტების განხორციელება. ბეთანიის პროექტთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი და სასიხარულოა ქალაქში ამ პროექტის განხორციელება - გაკეთდება სათხილამურო ტრასა, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება არა მარტო ზამთრის თვეებში, არამედ სხვა პერიოდშიც. აქვე აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია მუშაობა, მთის კურორტების განვითარების სააგენტოს უშუალო ჩართულობით და მხარდაჭერით, რისთვისაც მადლობა გადაუხადა სააგენტოს და განაცხადა, რომ ძალიან მალე, საზოგადოებას მიაწვდის დეტალურ ინფორმაციას, თუ რა გაკეთდება. მუზეუმების რეაბილიტაციის კუთხით დასმულ შეკითხვაზე აღნიშნა, რომ განხორციელდება ილია ჭავჭავაძის, ზაქარია ფალიაშვილის და თოჯინებისა და სათამაშოების მუზეუმების და ასევე, 11 ბიბლიოთეკის რეაბილიტაცია-განახლების პროექტი.

საკრებულოს წევრებმა, თბილისის მერის მოხსენებასთან დაკავშირებით, გააკეთეს შეფასებები.

ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს დასმულ შეკითხვებზე ამომწურავი პასუხებისთვის და აღნიშნა, რომ კახა კალაძის მერობის პირობებში, განხორციელდა უპრეცედენტო პროგრამები, მათ შორის, ავარიული შენობების ჩანაცვლების პროგრამა და დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულების პროექტი, რომლის ფარგლებშიც დაახლობით 12000-ზე მეტმა ოჯახმა მიიღო საცხოვრებელი ბინა. აქვე, განაცხადა, რომ ეს პროცესი დღესაც მიმდინარეობს და მომავალშიც გაგრძელდება. მისი თქმით, ასევე, მნიშვნელოვანია კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულების პრობლემა და მუციპალიტეტი ამ მიმართულებითაც წინ მიიწევს. ზურაბ აბაშიძემ აღნიშნა, რომ თბილისში მუდმივად ხორციელდება გამზირების და გზების რეაბილიტაცია, რაც შეუქცევადი პროცესია და აუცილებლად გაგრძელდება. თუმცა, გზების მოწესრიგების მიუხედავად, მუდმივად არის საუბარი საცობების კუთხით არსებულ მდგომარეობაზე და უნდა აღინიშნოს, რომ, ბოლო წლების განმავლობაში, 200000-ით გაიზარდა ავტომობილების რაოდენობა დედაქალაქში. ზურაბ აბაშიძემ განაცხადა, რომ სწორედ გაკეთებული საქმეები არის ის, რაც „ზურგს უმაგრებს“ თბილისის დღევანდელ ხელისუფლებას და მიმართა დედაქალაქის მერს: „ნამდვილად არ ვართ თვითკმაყოფილებაში ჩავარდნილი არავინ, ვიცით რა გამოწვევებია დედაქალაქში, ისიც ვიცით, რომ პრობლემებიც ბევრია, მაგრამ არ გვეშინია ამ პრობლემების, ვინაიდან გამოცდილება, პროფესიონალიზმი, საქმის კეთება არის ჩვენი ძლიერი მხარე. მე მინდა კიდევ ერთხელ მადლობა გადაგიხადოთ, წარმატებები გისურვოთ თქვენ, ჩვენთან ერთად. იცოდეთ, რომ

საკრებულო არის თქვენს გვერდში, არის დედაქალაქის მოსახლეობის გვერდში". საუბრის ბოლოს, კიდევ ერთხელ, დიდი მადლობა გადაუხადა თითოეულ მოქალაქეს, რომელიც 4 ოქტომბერს მივიდა არჩევნებზე და მხარი დაუჭირა კახა კალაძეს, „ქართულ ოცნებას" და საკრებულოს წევრებს, რომლებიც მზად არიან გაამართლონ დაკისრებული პასუხისმგებლობა.

ბექა დავითულიანმა თბილისის მერს მადლობა გადაუხადა მოხსენებისთვის. მან ასევე, მადლობა გადაუხადა თბილისის მოსახლეობას, რომელმაც უკვე მესამედ, მხარი დაუჭირა კახა კალაძეს და მის გუნდს, რაც მისი თქმით, ნიშნავს იმას, რომ დედაქალაქის მოსახლეობა კმაყოფილია გაწეული სამუშაოთი, თბილისის მუნიციპალიტეტის ხედვებით და განხორციელებული საქმეებით, რაც ნიშნავს იმას, რომ თბილისის მერია დღეს ქმნის თბილისის ისტორიას, ის აღარ არის ამ ქალაქის პასიური ნაწილი, არამედ ქმნის ახალ და სხვა ტიპის თბილისს, რომელიც უფრო კომფორტული და მისაღებია ჩვენი თანამოქალაქეებისთვის. ბექა დავითულიანმა გაიხსენა 2017 წელი, როდესაც კახა კალაძე და მისი გუნდი პირველად მოდიოდა თბილისის ხელისუფლებაში და აღნიშნა, რომ იმ პერიოდში ჩატარებული კვლევების თანახმად, მთავარი პრობლემები იყო: ჰაერის დაბინძურება, უმუშევრობა, ქაოტური განაშენიანება და საცობები, ხოლო დღევანდელი კვლევების თანახმად, დარჩენილია ერთადერთი - საცობები, რომელიც, მიუხედავად იმისა, რომ მინიმუმ 200000-ით გაიზარდა ავტომობილების რაოდენობა, იმგვარად არ დამძიმებულა, როგორც ეს მოხდებოდა უმოქმედობის შემთხვევაში, რაშიც ძალიან დიდი წვლილი შეიტანა თბილისის მერიის მენეჯმენტმა და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ადრეც მუშაობდა და დღესაც განაგრძობს მუშაობას თბილისის პრობლემებზე. მან მადლობა გადაუხადა ასევე, მათაც, ვინც დღეს აღარ არის თბილისის მენეჯმენტში, მაგრამ დიდი წვლილი აქვს შეტანილი ხსენებული პრობლემების მოგვარებაში, მათ შორის, წინა მოწვევის საკრებულოს წევრებს. საუბრის ბოლოს, ბექა დავითულიანმა განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, ახალი გუნდით, კიდევ უფრო დიდი შემართებით გავაგრძელებთ ამ საქმეს და ნამდვილად შევქმნით ამ ქალაქის უკეთეს ისტორიას, კახას ლიდერობით".

ნინო ვარდოსანიძემ თბილისის მერს, თბილისის მთავრობის მომავალ წევრებს და საკრებულოს წევრებს მიულოცა 4 ოქტომბრის არჩევნებში გამარჯვება და მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების" პოლიტიკურ გუნდს ამ შესაძლებლობისთვის. მან ასევე, მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების" ამომრჩევლებს მხარდაჭერისთვის და განაცხადა, რომ პირველ რიგში, ეს არის მხარდაჭერა იმ პოლიტიკის მიმართ, რაც აქვს „ქართულ ოცნებას", რომლისთვის ხმის მიცემით ამომრჩეველმა ხმა მისცა თბილისის და საქართველოს მეტ განვითარებას, რადგან თუ დღეს ვინმეს ამის გაკეთება რეალურად შეუძლია, ეს სწორედ „ქართული ოცნებაა". მისი თქმით, 4 ოქტომბერს მოსახლეობამ გააკეთა არჩევანი მუდმივ არეულობასა და გრძელვადიან მშვიდობას შორის და ნათელია, რომ საზოგადოების დიდი უმრავლესობა რადიკალურ ოპოზიციას არც მშვიდობას ანდობს და არც ძალადობას უწონებს, ოპოზიციის მარცხი გარდაუვალი იყო, ხოლო „ქართული ოცნების" გამარჯვება ლოგიკური, რადგან ის ერთადერთი ძალაა, რომელიც სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინაშე პასუხისმგებლობით მოქმდებს. აქვე განაცხადა, რომ კახა კალაძის და „ქართული ოცნების" გამარჯვება და მხარდაჭერა ყველა იმ სასიკეთო საქმის დამსახურებაა, რაც ბოლო წლებში გაკეთდა დედაქალაქისთვის. მისი თქმით, ასევე, მნიშვნელოვანია სამომავლო გეგმებიც, რომლის შესახებაც მოსახლეობას წინასაარჩევნო პერიოდში მიეწოდა ინფორმაცია და დანამდვილებით ვიცით, რომ „ქართული ოცნების" და კახა კალაძის მერობის პირობებში ყველა დაპირება აუცილებლად შესრულდება და მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილი ყველა პროექტი თბილისს კიდევ უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს, მეტად ლამაზ, მწვანე და ევროპულ ქალაქად აქცევს. აქვე განაცხადა, რომ თბილისის საკრებულო იქნება აქტიური ყველა საკითხის განხილვაში, მოსახლეობასთან ახლო კომუნიკაციაში და საკრებულოს თითოეული წევრი მხარს დაუჭერს ყველა იმ სიახლეს, რაც თბილისს და მის მაცხოვრებლებს უკეთეს მომავალს შეუქმნის. საუბრის ბოლოს, წარმატებები უსურვა თბილისის მერს და მის გუნდს, წარმატებები უსურვა ჩვენს ქალაქსა და ქვეყანას და

განაცხადა: „დარწმუნებული ვარ, წინ ბევრი გამოწვევა და გამარჯვება გველოდება და ვფიქრობ, სწორედ ამის გარშემო უნდა გავერთიანდეთ.“

შალვა ოგბაიძემ კახა კალაძეს მიულოცა თბილისის მერად არჩევა და წარმატებები უსურვა მას და მის გუნდს დედაქალაქის მსახურების საქმეში. ისაუბრა სატრანსპორტო პოლიტიკაზე, რომელიც, მისი თქმით, 2017 წელს, ეფუძნებოდა ჩვენი თანამოქალაქეების დაკვეთას და აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით გაკეთდა უამრავი რამ, მათ შორის: თვენახევრის წინ, უკვე ჩამოვიდა დარჩენილი 65 ერთეული 18 მეტრიანი ავტობუსი, რომლითაც შეივსება ის ადგილები, სადაც ამის საჭიროება და მოცდის დროის შემცირების აუცილებლობაა; სრულად განახლდა მიკროავტობუსების პარკი; დაგეგმილია მეტროს ახალი ვაგონების შემოყვანა, რომლებიც იქნება გამჭოლი, რაც ხელს შეუწყობს მგზავრების გადანაწილებას ვაგონებში, რათა მგზავრობა იყოს უფრო კომფორტული; დაიწყო მეტროპოლიტენის ახალი ხაზების მშენებლობა; განხორციელდა ტაქსების სამეტაპიანი რეფორმა, რამაც ხელი შეუწყო იმას, რომ დედაქალაქში ტაქსებს აქვს თავისი სახე; აღდგა რუსთაველის გამზირისა და მთაწმინდის პარკის დამაკავშირებელი საბაგირო ხაზი; გაკეთდა პარკირების ზონების დიფერენცირება ქალაქის უბნების მიხედვით; დაინერგა მოქნილი, ინტეგრირებული მგზავრობის საფასურის გადახდის სისტემა; საგზაო მოძრაობის მოწესრიგების მიზნით, განხორციელდა ჭკვიანი შუქნიშნების დამონტაჟება, საგზაო ნიშნების და ზებრების დახაზვითი სამუშაოები და სხვა; გზებზე და ქუჩებზე დამონტაჟდა განათებები; მოეწყო ქვეითთა გადასასვლელები; გზების და ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით განხორციელდა უზარმაზარი სამუშაოები - ბაგები-უნივერსიტეტის ქუჩის დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა, ქავთარაძის და უნივერსიტეტის ქუჩების დამაკავშირებელი გვირაბის მშენებლობა, ჩამოყალიბდა ქუჩების ახალი დიზაინი და მოწესრიგდა პრობლემური კვანძები; შემოღებული იქნა საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ზოლები; ეკოლოგიურად უსაფრთხო ტრანსპორტის ხელშეწყობისთვის განხორციელდა გარკვეული ღონისძიებები - ელექტრომობილების წახალისების მიზნით, მათი გათავისუფლება პარკირების გადასახადისგან, სატაქსომოტორო მომსახურებაში ჩართვის შემთხვევაში, ლიცენზიის მოსაკრებლისგან გათავისუფლება და სხვა; დაგეგმილია ტრამვაის დაბრუნება, რაც „ჩვენი დედაქალაქის სავიზიტო ბარათია“. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დედაქალაქში კვლავ რჩება სატრანსპორტო კუთხით არსებული გამოწვევები, რომლებსაც თბილისის ხელისუფლების გუნდი ერთად შეეჭიდება.

თინათინ ნიბლოშვილი მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, თბილისის მერს, მომავალი მთავრობის წევრებს და კოლეგებს მიულოცა ძალიან საპასუხისმგებლო და საამაყო მისია, რასაც ჩვენი მულტიკულტურული და ისტორიით სავსე ქალაქის სამსახურში ყოფნა ჰქვია. აღნიშნა, რომ დედაქალაქის მერმა თბილისის მომავალი მთავრობის წევრებად წარმოადგინა ის ადამიანები, რომლებსაც უკვე ძალიან დიდი წვლილი აქვთ შეტანილი ჩვენი ქალაქის განვითარებაში და სწორედ მათი თაოსნობით განხორციელდება მომავალი ოთხი წლის განმავლობაში დაგეგმილი ამბიციური გეგმები. ისაუბრა VII მოწვევის საკრებულოს ოპოზიციაზე, რომელთა ნაწილი, მისი თქმით, შეუერთდა რადიკალურ ჯგუფებს დედაქალაქის ქუჩებში და იმედი გამოთქვა, რომ მომდევნო ოთხი წელი იქნება განსხვავებული - ოპოზიციის წევრებიც აიღებენ პასუხისმგებლობას ჩვენი ქალაქის და მოქალაქეების მიმართ და ჩაერთვებიან საკრებულოს საქმიანობაში. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ დარწმუნებულია, ოთხი წლის შემდეგ, როდესაც ამ დარბაზში საკრებულო საქმიანობის ანგარიშს წარუდგენს თბილისის მოსახლეობას - ადამიანებს, რომლებმაც მისცეს ამ სივრცეში ყოფნის უფლება და შესაძლებლობა, შესრულებული იქნება ყველა ის პროექტი, რომელიც თბილისის მერმა წარმოადგინა და მომავალ საქმიანობაში წარმატებები უსურვა, როგორც თბილისის მომავალ მთავრობას, ასევე, საკრებულოს წევრებს.

დავით ფანჯაკიძემ აღნიშნა, რომ მისი ერთ-ერთი კითხვა ეხებოდა სამშენებლო რეგულაციებს და აღნიშნა, რომ პრაქტიკული გამოცდილებიდან გამომდინარე, დეველოპერები, საცხოვრებელი ფართების ღირებულების ზრდის კვალობაზე, გავიდნენ ქალაქგარეთ და ეკონომ სეგმენტში ბინების შეთავაზებას იწყებენ სწორედ ქალაქიდან მოშორებით. ხოლო ადამიანები,

რომლებსაც არ აქვთ მეტის საშუალება, მიჰყვებიან ამ ტენდენციას, რაც მათ ცხოვრებას რეალურად კიდევ უფრო გააძვირებს, რადგან ახალი დასახლებიდან უნდა მოხვდნენ ისეთ ინფრასტრუქტურასთან, როგორებიცაა: სკოლა, მოედნები, მოლები და სხვა. აქედან გამომდინრაე, ფიქრობს, რომ აუცილებელია რეგულაციების დიფერენცირება, რათა თავად ქალაქში გაჩნდეს სხვადასხვა კატეგორიის საცხოვრისები და არ დაიტვირთოს ისე, რომ ყველა ახალი სახლი დაემსგავსოს ერთმანეთს. მისი თქმით, აღნიშნული ამასთანავე, შეეხიდება ავარიული სახლების ჩანაცვლების პროექტს და თუ აქ ვიპოვნით კვეთას, შესაძლებელი იქნება ისეთი გადაწყვეტილებების მიღება, რომ განვითარება არ გავიდეს ქალაქგარეთ და არ შეიქმნას ახალი პრობლემები არა მარტო ინფრასტრუქტურული, არამედ სატრანსპორტო თვალსაზრისითაც.

კონსტანტინე ზარნაძემ მადლობა გადაუხადა თბილისის მერს გასული ოთხი წლის განმავლობაში ნაყოფიერი მუშაობისთვის და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, მომდევნო ოთხი წელი იქნება საუკეთესო ამ ქალაქის ისტორიაში. ისაუბრა ოპოზიციაზე, განაცხადა, რომ „ქართულ ოცნებასა“ და მათ შორის ისეთივე მორალური განსხვავებაა, როგორიც ადამიანობასა და არაადამიანობას შორის და მიმართა კახა კალაძეს: „ჩვენი გუნდის სახელით, იცოდეთ, რომ იმ საქმეში, რომელიც დაიწყეთ მათი პოლიტიკურად განადგურების ნაწილში, გვერდში გიდგავართ, ჩვენს უკან ძალიან ბევრი ადამიანია და მე დარწმუნებული ვარ, რომ ის პოლიტიკური სარეველა, რომელიც ამ ქვეყანას ახრჩობს ბოლო პერიოდის განმავლობაში, ერთხელ და სამუდამოდ მოისპობა, დაისვენებს ეს ქვეყანა და ის განვითარება სხვადასხვა მიმართულებებით, რომლებიც აქ ვახსენეთ, გაორმაგდება და გასამმაგდება. იმედს ვიტოვებ, რომ ეს საქმე მიყვანილი იქნება ბოლომდე. კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას იმ პრინციპული პოზიციებისთვის, რომლებსაც ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩვენ ვხედავთ. გვიგულეთ თქვენს გვერდით და დარწმუნებული ვარ, რომ ერთად ვიცხოვრებთ ბევრად კარგ სახელმწიფოში, მათ გარეშე“.

ვახტანგ სურგულაძემ განაცხადა, რომ ოთხი წლის წინ საუბრობდნენ ახალ ლიფტებზე, საბაგირო გზებზე, ახალ მეტროზე, ტრამვაიზეც და ახლაც იგივეზე საუბრობენ. ყველაზე დიდი პრობლემა რაც არის და რაზეც ოთხი წლის წინაც ისაუბრეს, არის ავარიული სახლები, ახლაც ავარიულ სახლებზეა საუბარი და მიუხედავ იმისა, რომ გიორგი ტყემალაძემ წარმოადგინა გეგმა, მან ვერ დაინახა, თუ როგორ განხორციელდება აღნიშნული სწრაფად. მისი თქმით, ადგილობრივი ხელისფლების ამოცანა არის ის, რომ ადამიანს არ ეშინოდეს ქალაქში ცხოვრების. გარდა ამისა, დედაქალაქში უამრავი სხვა პრობლემებია და თბილისი აღარც სინათლის ქალაქია, აღარც სიყვარულის და აღარც მშვიდობის, თბილისი არის „ქალაქი საცობი“, რასაც ვერ უშველა ვერც 18 მეტრიანმა ავტობუსებმა და ვერც საზოგადოებრივი ტრანსპორტისთვის განკუთვნილი ზოლების დახაზვამ, რადგან ამ ზოლებით ძალიან ხშირად სარგებლობენ სხვადასხვა თანამდებობის პირები, რაც იწვევს ავტობუსების შეფერხებას. მისთვის გასაგებია, რომ მეტროსთან დაკავშირებით პროექტების განხორციელება ძალიან ძნელია და დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, მაგრამ თუ არ დავიწყეთ, ვერასდროს დავამთავრებთ. აქვე აღნიშნა, რომ ახსოვს დაპირებები მიწისქვეშა და მიწისზედა პარკირებებთან დაკავშირებით, თუმცა, ამ მიმართულებით არაფერი ხდება. ასევე, მოუწესრიგებელია ელექტრო სკუტერებით გადაადგილების საკითხი, რადგან არავინ იცავს წესებს. ვახტანგ სურგულაძემ ისაუბრა სოციალურ მიმართულებაზე და აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, ბავშვების 35% სკოლაში მიდის მშიერი, რაც სერიოზული პრობლემაა და ასევე, ძალიან სერიოზული პრობლემაა ის, რომ ბავშვები ან მშობლები ბავშვებით დგანან ქუჩაში და ითხოვენ მოწყალებას. ამის პარალელურად კი ვხედავთ, რომ ადამიანი, რომელიც რვა წელი მართავდა ქვეყანას, აღმოჩნდა კორუფციაში ჩაფლული და სწორედ ამიტომ, ფიქრობს, რომ საკრებულოში უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც შეისწავლის იმას, თუ „რა ხდება მერიაში“. საუბრის ბოლოს, შეეხო იპოდრომის ტერიტორიაზე დაგეგმილ მშენებლობას, აღნიშნა, რომ ეს არეალი, თავისი მიკროკლიმატით, მართლაც უნიკალურია და გაუგებარია, რატომ უნდა ჩაიდგას ზუსტად ამ ტერიტორიაზე რამდენიმე მაღალსართულიანი სახლი.

ბექა ოდიშარია გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის სიტყვებს, რომ თბილისი არ არის უსაფრთხო ქალაქი, ის არ არის სინათლის ქალაქი და ა.შ., აღნიშნა, რომ წარმოუდგენელია ასე საუბარი ისევე, როგორც სხვადასხვა პარტიების წარმომადგენლების მიერ ტელეეთერებში გაკეთებული განცხადებები, რომ თითქოს შენდება „არაბული ქალაქი" და განაცხადა: „ბათუმში აშენდება „ბათუმური ქალაქი", კრწანისში იქნება „თბილისური ქალაქი" და გაკეთდება ქართული საქმე და არაბული საქმე. ეს რაღაც ქსენოფობიის ზღვარზე გავლილი განცხადებები, მე მიმაჩნია, რომ ოცდამეერთე საუკუნეში მიუღებელია. ჩვენ უნდა მივესალმოთ ასეთ უპრეცედენტო ისტორიას. საქართველოს ისტორიაში კი არა, მე მგონი, ბევრი ევროპული ქვეყნის ისტორიაში არ ყოფილა ერთბაშად ამხელა ინვესტიცია გაცხადებული". აქვე, ისაუბრა უსაფრთხოებაზე და განაცხადა, რომ უსაფრთხო ქვეყნებსა და არაბულ ცივილიზაციას შორის რომ გავავლოთ პარალელი, ყველაზე რეიტინგული საერთაშორისო ორგანიზაციები აქვეყნებენ, რომ პირველ ადგილზე არის აბუ-დაბი, მეორეზე-დოჰა, ასევე, ტაიბეი, მასკატი და ზოგადად, პირველ ხუთ ადგილს იკავებს სწორედ აზიური ქვეყნების დედაქალაქები და ქალაქები და მიმართა ოპოზიციას: „თბილისელების ინტერესს აზიანებთ, ბათუმელების ინტერესს აზიანებთ, რატომ ზაფრავთ ამ ხალხს? არაჩვეულებრივი რამ ხორციელდება თბილისსა და ბათუმში - წარმოუდგენლად დიდი ინვესტიცია, რომელიც იქნება წარმოუდგენელი ეფექტის მქონე". ისაუბრა ისტორიულ უბნებში ავარიული სახლების ჩანაცვლებაზე, აღნიშნა, რომ რვა წლის განმავლობაში იყო მთაწმინდისა და კრწანისის რაიონის მაჟორიტარი და მიუხედავად იმისა, რომ ძალიან ბევრ დეველოპერს იცნობს და შეეძლო ადამიანებისთვის მიეცა საშუალება, რომ დამდგარიყო ორივე მხარისთვის მისაღები გარიგება, მან ეს ვერ მოახერხა, რადგან, როგორც წესი, ამის თავი და თავი არის მოსახლეობა და განაცხადა: „მინდა მივუთითო ჩვენს ძვირფას თანამოქალაქეებს, დააკვირდნენ, როგორ ხდება ეს მასივებში - თუ რა პოპულარობით სარგებლობს და რა მზარდი არის მოთხოვნა ჩანაცვლების პროგრამაზე... სიცოცხლე ერთია, ბატონებო. როგორც მინიმუმ, თქვენ გაგიათმაგდებათ თქვენი ქონება, თუ დათანხმდებით მუნიციპალიტეტს. ასევე, გამოყენებადია საბაზრო ღირებულების გადახდასთან დაკავშირებული შეთავაზება, რადგან რესურსი ამოწურვადია. თქვენც კარგად იცით, რომ სახლების მდგომარეობა წლიდან წლამდე უარესდება. ასე რომ, მხოლოდ ხელისუფლებას ნუ დავაბრალებთ და საერთოდაც შეგვიძლია არ დავაბრალოთ..." საუბრის ბოლოს, პროგრამასთან „ისწავლე და დასაქმდი" დაკავშირებით, ახალგაზრდების საყურადღებოდ, განაცხადა, რომ ძალიან დიდი განსხვავებაა კლასიკურ უმაღლეს განათლებასა და პროფესიულ გადამზადებას შორის და ამ უკანასკნელს ძალიან დიდი უპირატესობა აქვს იმ თვალსაზრისით, რომ ამ შემთხვევაში, მუნიციპალიტეტის მიერ შესწავლილია ის მოთხოვნა, რომელიც წარმოდგენილია ბაზარზე კონკრეტული ბიზნესების მიმართულებით და აქედან გამომდინარე, საუბარია იმაზე, რომ მიიღებ ცოდნას და 99% დასაქმდები, რისი დასტურიც არის ის, რომ აღნიშნული პროგრამა გათვლილი იყო 10000 ახალგაზრდაზე და ახლა გაზრდილია 100%-ით.

ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა გაიხსენა საკრებულოს წინა სხდომაზე, საკრებულოს თავმჯდომარის, ზურაბ აბაშიძის მიერ, ოპოზიციასთან კონსტრუქციულ თანამშრომლობაზე მზაობასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადება და მიმართა „ქართული ოცების" წარმომადგენლებს: „ერთი მხრივ, ჟღერდებოდა ეს სიტყვები და მეორე მხრივ, თქვენს პოლიტიკურ გუნდს სარჩელი შეჰქონდა საკონსტიტუციო სასამართლოში ჩვენი კოალიციის „ლელო - ძლიერი საქართველო" ასაკრძალად. „ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებს" ამბავია. დღევანდელი მოცემულობით, ძალთა ბალანსი თბილისის საკრებულოში არის ორმოცდაორი ორზე და მაინც რატომ უფრთხით ჩვენს პოლიტიკურ ძალას, დასკვები საზოგადოებამ გააკეთოს. ალბათ იმიტომ, რომ მთავარია ერთიანობა, რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს და დღეს, „ქართული ოცნების" პოლიტიკური გუნდი არ არის ერთიანი". მისი თქმით, საზოგადოება, ფაქტობრივად ყოველდღიურ რეჟიმში ისმენს პროპაგანდისტულ ბრიფინგებს და უყურებს „ქართული ოცნების" მაღალჩინოსნების დაპატიმრებებს კორუფციული დანაშაულებების გამო, მათ შორის, საქმეები აღძრულია „ქართული ოცნების" უმაღლესი თანამდებობის პირების წინააღმდეგ, როგორებიც არიან: ყოფილი ორგზის პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის მინისტრი, ინფრასტრუქტურის მინისტრი, გენერალური პროკურორი, სახელმწიფო

უშიშროების უსაფრთხოების სამსახურის უფროსი და ა.შ. და მიუხედავად იმისა, რომ ხელისფლების თქმით, ის ებრძვის კორუფციას, საზოგადოება ამას აფასებს, როგორც „კლანებს შორის დაპირისპირებას და გავლენების ახალი გადანაწილებისთვის ბრძოლას". ნიკოლოზ ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ ამ მიმართულებით, უამრავი კითხვა არსებობს ასევე, თბილისის მერიისა და კონკრეტულად თბილისის მერის მისამართით, მათ შორის: ავტობუსების შესაძლო კორუფციულ შესყიდვასთან დაკავშირებით, გუდიაშვილის მოედნის უპირობო და უკონკურენტო აუქციონის შესახებ, სამშენებლო ბიზნეს-კარტელებთან დაკავშირებით, კერძოდ: ფხაკაძეებისთვის გადაცემული იპოდრომი, წულაისთვის გადაცემული ვაგონშემკეთებელი ქარხნის ტერიტორია, გოჩა ენუქიძისთვის გმირთა მოედანთან ცათამბჯენის მშენებლობის უფლების მიცემა. მისი თქმით, კითხვები არის ასევე, თბილისის მერის ყოფილი პირველი მოადგილის, ირაკლი ხმალაძის, არნახული გამდიდრების და თბილისის მერის გარემოცვის სხვა წევრების შესახებ და აქედან გამომდინარე, „ლელო - ძლიერი საქართველოს" წევრები ითხოვენ, რომ თბილისის საკრებულოს ფორმატში შეიქმნას სამუშაო ჯგუფი, რომელიც შეისწავლის ზემოთ ჩამოთვლილ და სხვა „ქეისებს" და გამოავლენს შესაძლო კორუფციის კონკრეტულ ფაქტებს. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ თუ „ქართული ოცნება" რეალურად ებრძვის კორუფციას და ეს არ არის მოჩვენებითი და ფასადური პროცესი, სწორედ მათ ინტერესში უნდა შედიოდეს ის, რომ ყველაფერი იყოს საჯარო და გამჭვირვალე და აქედან გამომდინარე, იმედი გამოთქვა, რომ თბილისის მერი მხარს დაუჭერს თბილისის საკრებულოში ანტიკორუფციული სამუშაო ჯგუფის შექმნას.

ბექა დავითულიანი გამოეხმაურა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გამოსვლას და მიმართა მას: „თბილისის საკრებულოში არის სარევიზიო კომისია, რომელიც ინსტიტუციურად ამოწმებს ამ ყველაფერს და თქვენ გაქვთ იმის საშუალება, რომ იქ იმუშაოთ". აქვე განაცხადა, რომ მისთვის გაუგებარია, რას ნიშნავს „უკონკურენტო და უპირობო აუქციონი".

კახა კალაძე გამოეხმაურა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გამოსვლას და მიმართა მას: „მაინტერესებს, ვაგონშემკეთებელ ქარხანასთან დაკავშირებით, მერიამ რა გადასცა წულაიას? თქვენ ხომ საჯაროდ განაცხადეთ ეს? ტელევიზიებთან ერთად, შეგვიძლია გავიდეთ და წარმოადგინეთ კონკრეტული დამადასტურებელი საბუთები, იმასთან დაკავშირებით, რომ მერიამ წულაიას ვაგონშემკეთებელი ქარხანა გადასცა, ან იპოდრომი გადასცა ფხაკაძეებს, ან ბოდიში მოიხადეთ, თუ კეთილსინდისიერი პოლიტიკოსი ბრძანდებით".

გურამ ნიკოლაშვილი მიესალმა თბილისის მერს, მომავალი მთავრობის წევრებს და მიმართა კახა კალაძეს: „ზუსტად ორ კვირაში გახდება რვა წელიწადი, რაც თქვენ ხართ თბილისის მერი, კიდევ მინიმუმ ოთხი წელი მოგიწევთ ამ საპატიო როლში მსახურება და თქვენ გახდებით, დაახლოებით 200 წლის განმავლობაში, ყველაზე ხანგრძლივი დროით არჩეული ქალაქის თავი". მისი თქმით, აღნიშნული ძალიან მნიშვნელოვანი რამ არის იმიტომ, რომ გუნდი, რომელსაც ჩვენ უკვე ვიცნობთ, რომელიც გამოცდილია და მრავალ პრობლემას არის შეჭიდებული, დიდი წინაპირობაა იმისთვის, რომ მომავალში უფრო წარმატებით გააგრძელებს საქმიანობას. რაც მთავარია, თბილისის მერის მიერ ჩამოთვლილი კონკრეტული მიმართულებები, საბოლოო ჯამში, გვაძლევს ერთი დიდი, მთლიანი, ტრანსფორმაციის სურათს და კახა კალაძეს ხვდა პატივი, რომ მისმა საქმიანობამ განსაზღვროს, თუ როგორი იქნება ოცდამეერთე საუკუნის თბილისი. გურამ ნიკოლაშვილი გამოეხმაურა ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გამოსვლას და განაცხადა, რომ პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს, რომ „ქართული ოცნება" არ კრძალავს არცერთ პოლიტიკურ ძალას და ეს არის სასამართლოს პრეროგატივა. ხოლო რაც შეეხება სარჩელის შეტანას, ეს მოხდა იმიტომ, რომ ზუსტად ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის მიერ ჩამოთვლილი კითხვები არსებობს მთელი რიგი პარტიების მიმართ, რომლებიც ჩართული არიან რადიკალიზმში და ქვეყნის საბოტირებაში და მიმართა „ლელო - ძლიერი საქართველოს" წარმომადგენლებს: „ძალიან კარგია, რომ თქვენ მიიღეთ არჩევნებში მონაწილეობა, შემოხვედით და საქმიანობთ საკრებულოში. იმედია, მომავალი წლების განმავლობაში, ეს ესე გაგრძელდება, ყველა კითხვას, სამუშაო ფორმატში, პასუხი გაეცემა, მაგრამ ესეთივე კითხვები და ესეთივე პასუხის გაცემა პარტიულ საქმიანობასთან დაკავშირებით, მოგიწევთ სწორედ საკონსტიტუციო

სასამართლოში, რომელიც, ვნახოთ, რა გადაწყვეტილებას გამოიტანს და ეს არის სწორედ ის წყალგამყოფი, რაც ყოფს დესტრუქციულ პარტიებს - იმ რადიკალურ პარტიებს, რომლებსაც უნდათ პოლიტიკური პროცესი ქუჩაში გადაიტანონ და იმ პარტიებს, რომლებიც აპირებენ კოსტიტუციურ ჩარჩოში პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელებას. „ლელო" სწორედ ამ ზღვარზე იმყოფება და იმედია, შეძლებს დაუბრუნდეს ცივილიზაციურ მხარეს და არა ანარქისტულ მიდრეკილებებს".

გიორგი ქარდავა გამოეხმაურა ბექა ოდიშარიას რეპლიკას, თითქოს ოპოზიციის წარმომადგენლები აღვივებენ ქსენოფობიურ განწყობებს და განაცხადა, რომ, ცხადია, ყველა ინვესტიცია არ არის ცუდი. თავად მიესალმება ნებისმიერი კაპიტალის შემოსვლას ქვეყანაში, მაგრამ, თუ ეს კაპიტალი ცვლის დემოგრაფიულ და ეთნოგრაფიულ ბალანსს, ვერანაირად ვერ მიემხრობა ასეთ ინვესტიციას და დარწმუნებულია, რომ „ქართული ოცნების" ამომრჩეველიც იგივე აზრზეა. აქვე, ისაუბრა იმ იურიდიულ ბერკეტებზე, რომლებიც თითქოსდა ამ საკითხს მოაგვარებს და განაცხადა, რომ, პირველ რიგში, ჩვენი კანონმდებლობა, საემიგრაციო კუთხით, დასახვეწია, რადგან უკიდურესად ლიბერალურია, რისი მაგალითიც არის ის, რომ თუ უცხო ქვეყნის მოქალაქე საქართველოს ტერიტორიაზე იყიდის 100000 დოლარის უძრავ ქონებას, მას კანონმდებლობით აქვს უფლება, მოითხოვოს ბინადრობის ნებართვა, ხოლო ბინადრობის ნებართვის საფუძველზე, მას ავტომატურად აქვს უფლება მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა. ამასთანავე, როდესაც ვსაუბრობთ იმაზე, რომ ამ საკითხის მოგვარება იურიდიულად შესაძლებელია, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ იურიდიულად აფხაზეთი და სამაჩაბლო საქართველოს განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ერთია რა წერია კანონში და მეორეა პრაქტიკაში რა ხდება. საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ჩვენზე უფრო დიდმა სახელმწიფოებმა ევროპაში და ამერიკაში, ვერ გამართეს და ვერ დაარეგულირეს მულტიკულტურალიზმი და ამიტომ, უმჯობესი იქნება გავუფრთხილდეთ ჩვენს დემოგრაფიულ ფონდს და ხელი არ შევუწყოთ ისეთ ინვესტიციებს, რომლებიც გულისხმობს ჩვენს ქალაქში უცხოელების კომპაქტურად ჩასახლებას, რისი დასტურიც არის „ემაარ ჯგუფის" დამფუძნებლის მიერ ტელეკომპანია „იმედის" ღია ეთერში გაჟღერებული ინფორმაცია, რომ აღნიშნული ინვესტიციის 60% გათვლილი იქნება უცხოელ მყიდველებზე, მათ შორის, არაბული სახელმწიფოების მოქალაქეებზე.

ოთარ ჩრდილელი მიესალმა თბილისის მერს, მომავალი მთავრობის წევრებს, კოლეგებს და ნაყოფიერი და წარმატებული საქმიანობა უსურვა. გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის და ნიკოლოზ ჩერქეზიშვილის გამოსვლებს და მიმართა მათ: „თქვენ ძალიან გიკვირთ, რატომ აღმოჩნდით „შორტლისტში", სადაც განიხილება თქვენი საკითხი. არ უნდა გიკვირდეთ... ოთხი წლის წინ, ვინ იყო დედაქალაქის მერობის კანდიდატი თქვენგან? - ნიკანორ მელია... ვინ იყო მერის მოადგილის კანდიდატი? - ხაზარაძე. რატომ გიკვირთ შემდეგ ესეთი რაღაცები?.. თქვენ, მიზანმიმართულად, ადამიანური რესურსით, ფინანსური რესურსით, ამხნევებდით, ამაგრებდით ანტისახელმწიფოებრივ მიტინგებს. თქვენ გამოიპარეთ უკანა კარიდან, ახლა, თებერვალში, როდესაც მიხვდით, რომ დაიშალა ეს ყველაფერი და შემდეგ ცალკე შეეკარით გახარიას. ჩვენ ამას ყველაფერს ვხედავთ. ჩვენთან ერთად, ხედავდა ქართველი ხალხი... პირადად თქვენზე, რა თქმა უნდა, არ მაქვს საუბარი, აქ კრებსითი „ლელო" განიხილება და არა პიროვნულად თქვენ".

ავთანდილ ცინცაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას, დედაქალაქის მერს, თბილისის მომავალი მთავრობის და საკრებულოს წევრებს, მიულოცა არჩევნებში მნიშვნელოვანი გამარჯვება, წარმატებები უსურვა და განაცხადა, რომ დარწმუნებულია, თბილისის მერის მიერ წარმოდგენილი კანდიდატები საკრებულოში მიიღებენ სრულ მხარდაჭერას იქიდან გამომდინარე, რომ მათ ზურგს უმაგრებს გამოცდილება და განვლილი წლების განმავლობაში განხორციელებული პროექტები, რომლების სრულად ჩამოთვლა ძალიან შორს წაგვიყვანს, თუმცა, შეუძლებელია ყურადღება არ გაამახვილოს კოოპერატიული ბინათმშენებლობით და დაუმთავრებელი მშენებლობით დაზარალებულების საკითხზე, რომელზეც ვერცერთ დროს, ვერცერთმა მერმა და ვერცერთმა მთავრობამ ვერ აიღო

პასუხისმგებლობა, გარდა კახა კალაძის და მისი გუნდისა და ძალიან სასიამოვნო და მნიშვნელოვანია ის, რომ დღეს 12000-ზე მეტ გახარებულ ოჯახს ვუყურებთ. ავთანდილ ცინცაძე გამოეხმაურა ვახტანგ სურგულაძის სიტყვებს, რომ განვლილი წლების განმავლობაში იმავე დაპირებებს ისმენდა, რომლებიც მოისმინა დღეს, რაც, მისი თქმით, არ არის სიმართლე და მიმართა მას: „განვლილი ოთხი წლის განმავლობაში, თქვენ ბრძანდებოდით ჩემი კოლეგა... თქვენ ამ სასიკეთო პროექტებისთვის, რაზეც ჩვენ აქ ვსაუბრობთ, მხარი არ დაგიჭერიათ... თქვენ, ნაცვლად იმისა, რომ ეს სიკეთე გეკეთებინათ, გაბრძანდით ქუჩაში და შეუერთდით იმ რადიკალებს, ვინც ჩვენი ქვეყნის მტრები არიან... თქვენ განერვიულებთ კახა კალაძის და მისი გუნდის მიერ განხორციელებული პროექტები, რომლებსაც ჩვენი ქვეყნის და ქალაქის წარმომადგენლები ძალიან კარგად ხედავენ და ზუსტად ამიტომ შეივსო თქვენს გვერდზე სკამები „ქართული ოცნების“ წარმომადგენლებით.“ საუბრის ბოლოს, კახა კალაძეს და მის გუნდს კიდევ ერთხელ უსურვა წარმატებები და განაცხადა, რომ დარწმუნებულია მომდევნო ოთხი წელი იქნება უფრო მეტად წარმატებული და თითოეული ჩვენი თანამოქალაქე იამაყებს ამ პერიოდში განხორციელებული პროექტებით.

ზურაბ ჩიკვილაძე მიესალმა სხდომაზე დამსწრე საზოგადოებას და განაცხადა, რომ დღევანდელი დღე არის განსაკუთრებული და გამორჩეული, რადგან საკრებულო მხარდაჭერას უცხადებს კახა კალაძის გუნდს, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს იმას, რომ გაგრძელდება ის ძალიან დიდი პროექტები და პროგრამები, რომლებიც შემუშავებული და ინიცირებული იყო კახა კალაძის და მისი თანამოაზრეების მიერ. ძალიან მნიშვნელოვანია ასევე, ახალი პროექტები, რომლებიც მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში განხორციელდება დედაქალაქში, ჩვენი თანამოქალაქეების მონაწილეობით. აქვე, მადლობა გადაუხადა თბილისის მოსახლეობას 4 ოქტომბერს მიღებული „გამორჩეულად უმნიშვნელოვანესი“ გადაწყვეტილებისთვის, რითიც ძალიან ბევრი გააკეთა თბილისის მომავალი განვითარებისთვის. მისი თქმით, მოსახლეობამ გააკეთა წყალგამყოფი მოდერნიზებულ ქალაქსა და ქაოსს შორის, მშენებლობასა და ნგრევას შორის, რაც ძალიან მნიშვნელოვანია და 4 ოქტომბერი სწორედ ის დღე და თარიღია, როდესაც ერთმნიშვნელოვნად და მკაფიოდ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ნდობის მანდატი აქვს „ქართულ ოცნებას“ და მშვიდობას“. მისი თქმით, თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება ითქვას, რომ 2028 წელს, ოპოზიცია ზუსტად იმდენივე მანდატით შევა საქართველოს პარლამენტში, რამდენითიც დღეს არის წარმოდგენილი საკრებულოში. განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობა მზადყოფნას გამოთქვავს ოპოზიციასთან თანამშრომლობაზე, თუმცა, მათ აუცილებლად უნდა დაიცვან კორექტულობა და დედაქალაქის საქმეებზე ორიენტირებულობა, რადგან საკრებულო ემსახურება დედაქალაქს. აქვე აღნიშნა, რომ VII მოწვევის საკრებულოში, ოპოზიცია წარმოდგენილი იყო 21 წევრით, ხოლო დღეს წარმოდგენილია 5 წევრით, რითიც მკაფიოდ ჩანს, თუ რა ხდება ჩვენს ქვეყანაში. ზურაბ ჩიკვილაძემ ისაუბრა გიორგი გახარიაზე, რომელიც, მისი თქმით, „აბსოლუტურად გამორჩეული თემაა ჩვენი საზოგადოებისთვის“, რადგან თბილისის მოსახლეობამ, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე, მის პარტიას მისცა საშუალება, რომ საკრებულოში ჰყოლოდა წევრები, ხოლო დღეს მათი შედეგი არის ნული, რაც არის იმის მაგალითი, რომ „თბილისში მოღალატეებს ხმას არ აძლევენ“ და მათ არასდროს ექნებათ ადგილი საკრებულოში. საუბრის ბოლოს, მადლობა გადაუხადა „ქართული ოცნების“ პოლიტიკურ ლიდერებს და აღნიშნა, რომ 4 ოქტომბერს, მმართველმა პარტიამ მოიპოვა დამაჯერებელი და ძალიან მნიშვნელოვანი გამარჯვება, განაცხადა, რომ ჯერ კიდევ წინ არის ძალიან დიდი გამარჯვებები და დარწმუნებულია, რომ საკრებულოს, თბილისის მერთან და მთავრობასთან ერთად, ძალიან დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია დედაქალაქისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ მადლობა გადაუხადა კოლეგებს გამოსვლებისთვის და თანმიმდევრობით დააყენა კენჭისყრაზე დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხები:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის (ვიცე-მერი) თანამდებობაზე გიორგი ტყემალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

ზურაბ აბაშიძემ გიორგი ტყემალაძეს მიულოცა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილის თანამდებობაზე დანიშვნა და მიმართა მას: „ნამდვილად ღირსეულია თქვენი, როგორც თავმჯდომარის, მოღვაწეობა დედაქალაქის საკრებულოში... VIII მოწვევის საკრებულოს პირველ სხდომას ნამდვილად აკლდით, მაგრამ გვიხარია, ამ ამპლუაში რომ ბრძანდებით და, დედაქალაქის მერთან ერთად, გისურვებთ დიდ წარმატებას“.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ირაკლი ბენდელიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე ანდრია ბასილაიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილის თანამდებობაზე კახა აბულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (ადმინისტრაციის უფროსი) თანამდებობაზე ვლადიმერ ჭიღლაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე სერგო ბირკაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გაიოზ თალაკვაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 46

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე დავით მალანიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ვახტანგ ლომჯარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე პაატა ტოგონიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გელა ჩივიაშვილის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ირაკლი გვილავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე ნიკოლოზ ჭონქაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

14. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გიორგი აბუთიძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (საქალაქო სამსახურის უფროსი) თანამდებობაზე გოგი ჩიქოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

16. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით კირკიტაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

17. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლევან ყიფიანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 46

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

18. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე გაიოზ ვასაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 45

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

19. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ლაშა ცაგურიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

20. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე აკაკი ხლაბუსტოვის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 43

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

21. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე კახა სამხარაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

22. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით მაქაცარიას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

23. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე დავით გელოვანის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ირაკლი ანდღულაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

25. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის (გამგებელი) თანამდებობაზე ბესიკ კალაძის დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“.

მომხრე - 44

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ თბილისის მთავრობის წევრებს მიულოცა თანამდებობებზე დანიშვნა და წარმატებები უსურვა მათ მომავალ საქმიანობაში.

კახა კალაძემ მადლობა გადაუხადა საკრებულოს წევრებს მხარდაჭერისთვის და განაცხადა: „ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ ღირსეულად ვემსახუროთ ჩვენს ქალაქს. უამრავი გამოწვევაა, უამრავი პრობლემაა დედაქალაქში და დედაქალაქის მოსახლეობის უმრავლესობამ ჩვენ გვანდო ეს მიმართულება, რომ ყველაფერს გაეცეს ღირსეული პასუხი. გვაქვს ძალიან ამბიციური გეგმები, კონკრეტული პროექტების სახით, თუ რა უნდა გაკეთდეს მომდევნო წლების განმავლობაში და მზად ვარ, ოცდაოთხსაათიან რეჟიმში, ჩემს თანაგუნლებთან ერთად, ჩემს თანამშრომლებთან ერთად, თქვენი ჩართულობით, თქვენი მხარდაჭერით, ვემსახურო ჩვენს ქალაქს, თბილისს, თბილისელებს. კიდევ ერთხელ ძალიან დიდი მადლობა ყველას და გისურვებთ წარმატებებს შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში.“

საკრებულოს თავმჯდომარე ზურაბ აბაშიძემ, კიდევ ერთხელ, მადლობა გადაუხადა თბილისის მერს და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 25 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე		ზურაბ აბაშიძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		ბექა დავითულიანი